პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი
№ 184 (13578)

კვირა, 14 აგვისტო, 1966 წ.

ფასი 2 კაპ.

14 აგვისტო მშენებლის დღეა

მოგილოცავთ დღესასწაულს, მშენებლებო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათზე: მთავართბილისმშენის მეცხრე სამშენებლო სამმართველოს № 5 უბნის მშენებელთა ერთი ჯგუფი მარცხნიდან: კალატოზი კ. ბარათაშვილი, მეარმატურე ს. ავდალიანი, უფროსი საშუამავო მწარმოებელი ბ. სიხარულიძე, კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი გ. პოპოვი, მეარმატურე ბ. აკოფიანი, ამწე კოშკურის მეშანტაჟე კ. აფანასაკი, მომმარაგებელი ა. მთვარელიშვილი, ამწე კოშკურის მემანქანე ი. გელდიაშვილი.

ფოტო: ბ. ფოგობიანის.

საუბარი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ა. სუსლოვმა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. ნ. პონომარიოვმა მიიღეს საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კ. კოლიანისი, რომელიც სახეობთა კავშირში იმყოფება.

საუბრის დროს, რომელმაც გულთბილ და ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა, გაიმართა აზრთა გაზიარება ორივე პარტიისათვის საინტერესო საკითხებზე.

პოლონეთის მარშალი მარიან სპიხალსკი თბილისის სტუმარია

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის საბჭოთა კავშირის მარშალ რ. ი. მალინოვსკის მოწვევით საბჭოთა კავშირში სტუმრად არის პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი პოლონეთის მარშალი მარიან სპიხალსკი. ეწვია ვარკეთილის მეგობრობის საბჭოთა მეურნეობას. მასთან ერთად საბჭოთა მეურნეობაში იყვნენ ამხანაგები ვ. პ. მეცვანაძე, დ. გ. სტურუა, ა. ტ. სტუჩინეკო, გ. ი. ჩოგოვაძე, გ. დ. ჯაჯანიშვილი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი არმიის გენერალი პ. ი. ბატოვი, ოლქის შტაბის გენერლები და ოფიცრები.

განაგრძობს რა საბჭოთა კავშირში მოგზაურობას, პოლონეთის მარშალი მარიან სპიხალსკი 13 აგვისტოს სიმფეროპოლს გაფრინდა. (საქდესი).

მათემატიკოსთა ასამგლეა

მოსკოვი, 13 აგვისტო. (**საკადესის კორ.**). დღეს მოსკოვის ოლქის ქალაქ დუბნაში გაიხსნა მათემატიკოსთა საერთაშორისო კავშირის მეხუთე გენერალური ასამბლეა. ასამბლეაში მონაწილეობენ მეცნიერები, რომლებიც ჩამოვიდნენ მათემატიკოსთა მოსკოვის საერთაშორისო კონგრესზე.

ბაკურიანი

ბაკურიანი. (**საკ. კორ.**). ბაკურიანის ბალნეოლოგიურ სანატორიუმში ამჟამად ისვენებენ ცნობილი ფეხბურთელები ალ. ჩოხელი, ბ. ბაბაევი, ბ. ბაბაევი, ბ. ბაბაევ

ᲕᲐᲠᲪᲘᲡᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ

რაიკომი და რაისაბჭო

პარტიის რაიონული კომიტეტების ერთ პლენუმზე

ამ ორი თვის წინათ რესპუბლიკის პროკურატურის კომუნისტები თავიანთი პირველადი პარტორგანიზაციის კრებაზე შეიკრიბნენ. დღის წესრიგში იდგა რაისაბჭოს დეპუტატის, კომუნისტ თ. კვარაცხელიას მუშაობის ანგარიში. — რას აკეთებს რაისაბჭო, რა ამოცანებს წყვეტს იგი, როგორ მონაწილეობას იღებენ მის მუშაობაში დეპუტატები და პირადად თ. კვარაცხელია, — ეი საკითხები, რომლებზეც უურადღება გამახვილა რაისაბჭოში პროკურატურის მუშაკთა მიერ წარგზავნილმა კომუნისტმა.

საკითხის განხილვამ აზრთა გაცხოველებული გაცვლა გამოიწვია. ორატორთა გამოსვლებიდან ჩანდა, რომ მათ ღრმად ესმით ის კოლექტიური პასუხისმგებლობა, რაც აკისრიათ საბჭოში თავიანთი წარგზავნილის მუშაობისათვის. დეპუტატს ბევრი რამ მოუწონეს, ზოგიერთზე კი მიუთითეს, მისგან მოითხოვეს გააქტიუროს მუშაობა საბჭოში. მართალია, ამ კრებიდან დიდი დრო არ გასულა, მაგრამ დეპუტატმა თ. კვარაცხელიამ უფრო განამტკიცა კავშირი ამომრჩევლებთან და ახლა მეტი მონდომებით იბრძვის მათი განაწესის შესასრულებლად.

პარტიის თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიკომმა მოიწონა საქართველოს პროკურატურის კომუნისტთა ეი ინიციატივა, როგორც რაისაბჭოს და მისი დეპუტატების მუშაობის შემდგომი გაუქტიურების საუკეთესო ფორმა. რაიკომმა ურჩია იმ პირველადს პარტორგანიზაციებს, რომლებსაც ჰყავთ თავიანთი წარმომადგენლები რაისაბჭოში, ასეთივე კრებები მოაწყონ ახლო მომავალში.

— რაისაბჭოს 126 დეპუტატიდან — 70, ანუ 55,5 პროცენტი, კომუნისტია,— გვეუბნება პარტიის კალინინის რაიკომის პირველი მდივანი ხ. რიბვასი. — პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებმაც ისინი წამოაყენეს კანდიდატებად, იკისრეს პასუხისმგებლობა დეპუტატთა მოღვაწეობაზე. იყო დეპუტატი — ეს საპატიო მოვალეობა და ამავე დროს მაღალი პასუხისმგებლობაა. ამიტომ პირველადს პარტიულ ორგანიზაციას არა მარტო უფლება აქვს, არამედ ვალდებულიც არის დაინტერესდეს რაისაბჭოში თავისი წარმომადგენლის მუშაობით, აგრეთვე იმით, თუ როგორ ასრულებს იგი დეპუტატის მაღალ მოვალეობას. თავის მხრივ, კომუნისტი დეპუტატები პასუხისმგებლნენ არიან პარტორგანიზაციების წინაშე რაისაბჭოს მუშაობისათვის.

ეს კარგია, მაგრამ იგი კალინინის რაისაბჭოს მოღვაწეობის ერთადერთი საკითხი როდია, რომლითაც პარტიის რაიკომი დაინტერესდა. ბოლო ხანებში რაიკომის მუშაკები ხშირად ეხმაურებიან რაისაბჭოს მუშაობის სხვა საარსებო საკითხებსაც. პარტიის რაიკომი ეძებს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში რაისაბჭოს მუშაობის გაუქტიურების ფორმებსა და მეთოდებს. მშრომელთა ფართო მასებთან მისი კავშირის განმტკიცების გზებს. დიდი ყურადღება დაეთმო დეპუტატთა მოღვაწეობას პირველადი პარტორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე, რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე. და ეს ახალი კურსი სრულიად შეუთავსებელია წვრილ მეურვეობასა და რაისაბჭოს მუშაობაში დაუსაბუთებლად ჩარევასთან.

რაისაბჭოს მოღვაწეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სტილი, მეთოდები და ფორმები გახდა ამას წინათ რაიკომის პლენუმის განხილვის საგანი. რაისაბჭოს აღმასკომის მოღვაწეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა მშრომელთა დეპუტატების კალინინის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. ᲒᲝᲚᲝᲕᲘᲚᲘ. თანამოხსენება პარტიის რაიკომის მხრივ რაისაბჭოსადმი ხელმძღვანელობის შესახებ გააკეთა პარტიის რაიკომის მეორე მდივანმა ბ. ᲩᲝᲓᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

პლენუმზე აღინიშნა, რომ უკანასკნელ დროს შესამჩნევად გამოცოცხლდა მის ცალკეულ დავალებებს. მაგალითად, მართალია, რაიონში მნიშვნელოვნად შეამცირდა საზოგადოებრივი თანაცხოვრების წესების დარღვევები, მაგრამ აქ კვლავ ადგილი აქვს მთელ რიგ მახინჯ მოვლენებს. დანაშაულებათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ფართოდ არ არიან ჩაბმულნი დეპუტატები, აქტივისტები. ისინი მოსახლეობაში არასაკმარისად ეწევიან საჭირო ახსნა-განმარტებას.

რაისაბჭოს უველა დეპუტატი როდი ასრულებს კისტატუციის მოთხოვნებს ამომრჩეველთა წინაშე ანგარიშგების შესახებ. სუსტად მუშაობენ მთელი რიგი მუდმივმოქმედი კომისიებიც. პლენუმზე განსაკუთრებით მაგრად „შეახურეს“ რაისაბჭოს კულტსაგანმანათლებლო მუდმივმოქმედი კომისია (თავმჯდომარე ვ. ჯახუტაშვილი). ვერ დაიკვეხნიან სოციალისტური კანონიერების დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის, სოცუზრუნველყოფის დაცვის კომისიებიც (თავმჯდომარეები რ. გელოვანი, ა. როყვა, ნ. კაკუშაძე).

ხელისუფლების რაიონული ორგანოს მუშაობის გაუმჯობესებაში, მასებთან მისი კავშირის განმტკიცებაში ახალ შეხედულებებს სახავს საზოგადოებრივი საწყისები. რაისაბჭოს შეუძლია საზოგადოებრიობის დახმარებით გაცილებით უკეთ განახორციელოს თავისი ფუნქციები, წარმატებით გადაწყვეტოს ისეთი საკითხები, რომლებზეც მას წინათ ხელი არ მიუწვდებოდა. მაგრამ უკვე კარგახანია რაისაბჭოს აღმასკომთან შექმნილ სამ შტატგარეშე განყოფილებას (საორგანიზაციო, ვაჭრობის და კულტურის) თითო თითზე არ დაუკარებია.

ბევრი რამის გაკეთება შეუძლია აპარატს მუშაობის გასაუმჯობესებლად. რაისაბჭოს აღმასკომის პირველად პარტიულ ორგანიზაციას არ შეუძლია იმის თქმა, [illegible] მუშაობას. პარტიული ორგანიზაცია განიხილავს აპარატის მუშაობის კულტურის ამაღლებასთან, კომუნისტების მიერ საწესდებო მოვალეობის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, მაგრამ, ამასთანავე, ყოველთვის დაბეჯითებით როდი იბრძვის რაისაბჭოს აღმასკომის აპარატს გამართული მუშაობისათვის.

პლენუმის მონაწილეებმა ყოველმხრივ განიხილეს, თუ რა გზებით უნდა სრულყონ რაისაბჭოსადმი პარტიული ხელმძღვანელობის ფორმები და მეთოდები.

პარტიის რაიკომის ეს ნაბიჯები უურადღებას და საერთო მოწონებას იმსახურებს.

— საკმარისი არ არის, — ამბობდნენ ორატორები, —მარტო კონტროლი გავუწიოთ კომუნისტი დეპუტატების საქმიანობას, საჭიროა აგრეთვე დავეხმაროთ მათ. ᲡᲐᲑᲭᲝᲩᲝᲔᲑᲨᲘ ᲐᲠᲐᲩᲣᲚᲘᲐ ᲙᲘᲗᲮᲕᲜᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲝᲜᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲠᲪᲕᲔᲝᲑᲐ. ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲣᲚᲘ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ.

პარტიის რაიკომის მოვალეობაა დაეყრდნოს ამ პირველ გამოცდილებას, შემდგომ სრულყოს რაისაბჭოსადმი ხელმძღვანელობა, მიაღწიოს მისდამი ხაზგადაფარული ორგანიზაციების უფრო აქტიურ დახმარებას, გაამლიეროს მუშაობა ამომრჩეველთა წინაშე დეპუტატთა პასუხისმგებლობის გრძნობის აღსაზრდელად.

ბ. ᲖᲣᲙᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲒᲠᲗᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

გავაძლიეროთ გრძოლა საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი, თუ რა ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს „დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ საკავშირო მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 23 ივლისის დადგენილებისა და „ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 26 ივლისის ბრძანებულების ახსნა-განმარტებისათვის.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, რომელშიც განსაზღვრა ხულიგნობისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოვლენების გადაჭრით აღმოფხვრის მთელი რიგი ღონისძიებანი. პროფკავშირთა საოლქო საბჭოებს, პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებსა და ფაბრიკა-ქარხნების ადგილკომებს მიეცათ წინადადება მოაწყონ მუშამოსამსახურეთა კრებები და განიხილონ საკითხი, თუ რა ღონისძიებანი უნდა დასახონ საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევებთან ბრძოლის გასაძლიერებლად, მოაწყონ საუბრები, რათა განმარტონ „დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება და „ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება.

ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელია, — ხაზგასმულია დადგენილებაში, — თუ მასში აქტიურ მონაწილეობას არ მიიღებს ყველა მშრომელი. ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაცია. საფაბრიკო, საქარხნო და ადგილობრივმა კომიტეტებმა საწარმოს, დაწესებულების, საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობის კოლექტივის კრებაზე ფართოდ უნდა განიხილონ უღირსი ქცევის, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის თითოეული შემთხვევა. ადმინისტრაციამ და პროფკავშირის კომიტეტმა უფრო დიდი გავლენა უნდა მოახდინონ იმათზე, ვინც უღირსად იქცევა, მკაცრად დასაჯონ ყველა, ვინც ლოთობს, არღვევს მართლწესრიგს, ხელს აფარებს მართლწესრიგის დამრღვევებს. საწარმოთა და დაწესებულებათა ადმინისტრაციასთან ერთად საჭირო შემთხვევაში დამრღვევებს არ უნდა მიეცეთ პრემიები, დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების შეღავათიანი საგზურები, მათ შეიძლება გადაუწყონ საცხოვრებელი ფართობის მიღების რიგი და სხვ. ხოლო მიღებული გადაწყვეტილება უნდა ეცნობოს კოლექტივს. ადმინისტრაციული ორგანოებისა და სახალხო რაზმიულების მასალების შესაბამისად ცალკეული პირთა ხულიგნობის, ლოთობისა და უღირსი მოქცევის შესახებ არაუგვიანეს 10 დღისა უნდა განხორციელდეს ზემოქმედების საჭირო ღონისძიებანი.

საქართველოს პროფსაბჭოს მთითეებით სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისა და საწარმოების, საამქროების, განყოფილებების, ცვლების. უბნების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობის შეფასების დროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მაჩვენებლად უნდა ჩათვალონ ის, თუ როგორ იცავენ კოლექტივის წევრები საზოგადოებასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში ქცევის წესებს საბჭოთა კანონებისა და კომუნისტური მორალის მოთხოვნების შესაბამისად.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა პროფკავშირულ ორგანიზაციებს გააძლიერონ აღმზრდელობითი მუშაობა კომუნისტური მორალისა და სოციალისტური მართლწესრიგის დამრღვევებისადმი შეუწყნარებლობის სულისკვეთებით, მტკიცედ იბრძოლონ ისეთი ადამიანების წინააღმდეგ, რომლებიც ხულიგნური მოქმედებით მშრომელებს ხელს უშლიან შრომაში. უშიშავენ დასვენებასა და გუნებას. (საქდესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐ ᲡᲐᲛᲨᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. (საკ. კორ.). გაიმართა საქართველოს კპ ბაშურის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა ამხ. ზ. დ. ᲐᲑᲐᲖᲐᲫᲔ გაათავისუფლა საქართველოს კპ ბაშურის რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს კპ ბაშურის რაიკომის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად პლენუმმა აირჩია ამხ. დ. დ. ᲛᲐᲦᲚᲐᲤᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. შ. ᲘᲐ. ᲨᲐᲜᲣᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐ ᲥᲐᲠᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ᲥᲐᲠᲚᲘ. (საკ. კორ.). შედგა საქართველოს კპ ქარელის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა ამხ. დ. დ. ᲛᲐᲦᲚᲐᲤᲐᲨᲕᲘᲚᲘ გაათავისუფლა საქართველოს კპ ქარელის რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს კპ ქარელის რაიკომის პირველ მდივნად ამ ბიუროს წევრად პლენუმმა აირჩია ამხ. Ი. Ა. ᲗᲝᲚᲝᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. შ. Ი. ᲨᲐᲜᲣᲨᲕᲘᲚᲘ.

უკრაინელთა დელეგაცია შემოქმედში

ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ. (საკ. კორ.). ამ დღეებში სოფელ შემოქმედის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობას ეწვივნენ ძეიფასი სტუმრები — უკრაინის სსრ განიჩესკის რაიონის ნოვაია გრიგორიევკის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელთა დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: ᲕᲚ. ᲙᲘᲠᲐᲕᲪᲔᲕᲘ (საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანი, დელეგაციის მეთაური), Რ. ᲚᲐᲨᲣᲢᲘᲜᲐ (მწველავი), ᲐᲚ. ᲢᲝᲙᲐᲠᲔᲕᲘ (ბუხალტერი), Ი. ᲨᲐᲠᲝᲕᲐᲚᲔᲕᲘ (მექანიზატორი) და სხვები, სულ 7 კაცი.

შემოქმედელებმა გულთბილად მიიღეს უკრაინელი შეგობრები, რომლებთანაც რამდენიმე წლის ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრება აკავშირებთ. სტუმრები გაეცნენ ნაკისრი ვალდებულების შესრულების შედეგებს. მასპინძლებს ცუდი მაჩვენებლები როდი აქვთ. 3 აგვისტოსათვის შეასრულეს ჩაის ფოთლის დამზადების წლიური დავალება. კარგი შედეგები აქვთ მეურნეობის სხვა დარგებშიც.

შემოქმედის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, ლენინის ორდენოსანმა **დავით მდინარაძემ** სტუმრებს გააცნო არტელის საქმიანობა და კოლმეურნეთა სახელით მადლობა გადაუხადა ძმური დახმარებისათვის, მეგობრული რჩევა-დარიგებისათვის, განსაკუთრებით საზოგადოებრივი მეცხოველეობის დარგში.

უკრაინელთა დელეგაცია რამდენიმე დღეს დარჩა მახარაძეში. შემდეგ შემოქმედელმა კოლმეურნეებმა ძმურად გაიცილეს სტუმრები.

პირველი შეხვედრები და საუბრები

ᲛᲐᲚᲚᲘᲡ რესპუბლიკის პარლამენტის დელეგაცია ეროვნული კრების თავმჯდომარის პირველი მოადგილის იაკუბა მაიგას შეთაურობით 12 აგვისტოს ეწვია სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს.

მეგობარი ხალხის წარმომადგენლებს გულთბილად მიესალმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ი. ი. ᲞᲐᲚᲪᲔᲕᲘᲩᲘᲡი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების თავმჯდომარეთა სახელით მალის პარლამენტარებს საუზმე გაუმართეს. დელეგაციის წევრებთან ერთად საუზმეზე იყვნენ მალის ელჩი საბჭოთა კავშირში სორი კულიბალი, აგრეთვე მოსკოვში ჩამოსული მალის ახალგაზრდობისა და სპორტის საქმეთა უმაღლესი კომისარი მუსა კეიტა.

საუზმეზე იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე კ. ფ. ᲘᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ს. ᲡᲝᲑᲝᲚᲔᲕᲘ და სხვა ოფიციალური პირები.

ი. ი. ᲞᲐᲚᲪᲔᲕᲘᲩᲘᲡ და იაკუბა მაიგას საუზმეზე მეგობრული სიტყვები წარმოთქვეს.

მალის პარლამენტის დელეგაცია მოსკოვის გარდა ეწვევა ირკუტსკს, ბრატსკს, ალმა-ატას, თბილისსა და კიევს. (საკდესი).

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა ისრაელის მოსკოვის საელჩოს მეორე მდივანი დ. გავეში და წინადადება მისცა საბჭოთა კავშირი დატოვოს საქმიანობისათვის, რომელიც შეუთავსებელია აკრედიტებული დიპლომატიური მუშაკის სტატუსთან.

როგორც საბჭოთა კომპეტენტურმა ორგანოებმა დაადგინეს, გავეში, რომელიც სსრ კავშირში ჩამოვიდა 1965 წლის ივნისში, ეწეოდა ჯაშუშური ხასიათის საქმიანობას. (საკდესი).

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ
ᲛᲔ-9 ᲒᲕᲔᲠᲓᲘ, ᲙᲕᲘᲠᲐ,
14 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ, 1966 Წ.

საერთაშორისო ცხოვრება

Ვ. ᲣᲚᲑᲠᲘᲰᲢᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 13 აგვისტო. (საკდესი). გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ულბრიხტმა დღეს სიტყვა წარმოთქვა ბერლინის მშრომელთა მიტინგზე, რომელიც გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფალთა მიერ დასავლეთ ბერლინის საზღვრთან თავდაცვის ღონისძიებათა განხორციელების მეხუთე წლისთავთან დაკავშირებით.

ვ. ულბრიხტმა აღნიშნა, რომ ბერლინის საზღვრის უშიშროების განმტკიცების ღონისძიებანი განხორციელდა მას შემდეგ, რაც ბონისა და დასავლეთ ბერლინის ხელისუფლებმა უგულებელყვეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მრავალი წინადადება დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ.

1961 წლის 13 აგვისტომ, განაგრძო ვ. ულბრიხტმა, დამაჯერებლად ცხადყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, სოციალისტური შეიარაღებული ძალების მშვიდობისმოყვარული მისია. სახელმწიფო საზღვრის განმტკიცებისა და მასზე ანტიფაშისტური დამცავი ზღუდის შექმნის მომენტიდან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. სოციალიზმი იმპერიალიზმზე ძლიერი გამოდგა — ასეთი განმცხადებელია ხუთწლეულის უმნიშვნელოვანესი შედეგი, განაცხადა კ. ულბრიხტმა. ჩვენი უპირატესობა აღსნება საბჭოთა კავშირისა და ვარშავის ხელშეკრულების სხვა ქვეყნების უდიდესი ეკონომიური და პოლიტიკური სიძლიერით, რომელიც ცხადყო სკკპ XXIII ყრილობამ.

ᲚᲘᲑᲙᲜᲔᲮᲢᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 95 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 13 აგვისტო. (საკდესი). დღეს შესრულდა გამოჩენილი გერმანელი რევოლუციონერის კარლ ლიბკნეხტის დაბადების 95 წლისთავი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრესა ამასთან დაკავშირებით აქვეყნებს მისი ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობისადმი მიძღვნილ მრავალ სტატიასა და დოკუმენტს.

ᲜᲐᲢᲝᲡ უმაღლეს სარდლობაში დასავლეთგერმანელ გენერლებს მეთაურთა იმდენივე პოსტი უჭირავთ, რამდენიც ინგლისს, კანადის, ბელგიის, თურქეთისა და საბერძნეთის წარმომადგენლებს ერთად.
(გაზეთებიდან).

ᲑᲣᲜᲓᲔᲡᲕᲔᲠᲘᲡ ᲮᲕᲔᲓᲠᲘᲗᲘ ᲖᲝᲜᲐ ᲜᲐᲢᲝᲨᲘ.
ნახ. ი. ᲭᲝᲭᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲮᲔᲚᲗᲐᲐ

ᲑᲠᲐᲖᲐᲕᲘᲚᲘ, 12 აგვისტო. (საკდესი). „კონგოელო ხალხო, შენს ხელშია კონგოს მომავალი და დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკის მშენებლობის საქმე“, ნათქვამია ეროვნული რევოლუციური მოძრაობის პარტიის მოწოდებაში კონგოელი ხალხისადმი.

მოწოდებაში, რომელიც დღეს გამოქვეყნდა კონგოს რევოლუციის მესამე წლისთავის გამო, ხაზგასმულია, რომ ეროვნული რევოლუციური მოძრაობის პარტიას, რომელიც დარწმუნებულია, რომ ხალხი მხარს დაუჭერს, მტკიცედ აქვს გადწყვეტილი განახორციელოს პარტიის დამფუძნებელი ყრილობის მიერ დასახული პროგრამა.

ეროვნული რევოლუციური მოძრაობის პოლიტიკური მოუწოდებს კონგოს ხალხს გამოიჩინოს რევოლუციური სიფხიზლე, დაიცვას ეროვნული სუვერენიტეტი და ყოველთვის მზად იყოს საკადრისი პასუხი გასცეს ყოველგვარ კონტრრევოლუციურ გამოსვლას. მშრომელებმა, ხაზგასმულია მიმართვაში, რევოლუცია იმისათვის რადიკალურად ... ლობით გადაეცა, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა მისი ოფიციალური და არამეგობრული ხასიათი.

ასეთი ვითარებაში ის გარემოება, რომ გუშინ სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა ბოლენის მიერ ელჩისათვის გადაცემული წერილი, არ შეიძლება არ შეგაფასოთ როგორც ახალი საფეხური „დიპლომატიური ესკალაციისა“, რომელსაც ეშინახტონი ეს ბოლო ხანებია ახორციელებს პარიზის წინააღმდეგ.

აი ასეთი ბა'ანაოისა პარიზის დღევანდელი გაზეთების მასალები. „საფრანგეთ-ამერიკის ურთიერთობა არ უმჯობესდება“, წერს „პარი ფური“, რომელიც კომენტარს უკეთებს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მტრულ დემარშს საფრანგეთისადმი.

ᲓᲔᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

ᲤᲝᲠᲢ-ᲚᲐᲛᲘ, 12 აგვისტო. (საკდესი). ჩადის რესპუბლიკა აღნიშნავს დამოუკიდებლობის მეექვსე წლისთავს. ზეიმი მომდინარეობს ჩადის სახელმწიფოს ერთობის განმტკიცების, ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ლოზუნგებით.

გუშინ დღესასწაულის გამო ეროვნულ კრებაში სიტყვა წარმოთქვა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ფრანსუა ტომბალბაიმ, რომელმაც განაცხადა, რომ მიღებულია ჩადის რესპუბლიკის ეკონომიური და სოციალური განვითარების 1966-1970 წლების პირველი ხუთწლიანი გეგმა.

ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲒᲐᲜᲖᲠᲐᲮᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲐᲥᲢᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 13 აგვისტო. (საკდესი). აქ წინასწარგანზრახული არამეგობრულ აქტად მიიჩნიეთ საფრანგეთის მიმართ ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა პარიზში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის ჩ. ბოლენისა და საფრანგეთის სახელმწიფო მინისტრის ლ. ჟოქესის საუბრის შინაარსი. როგორც უკვე ვიუწყებოდით, რამდენიმე დღის წინათ ბოლენი მივიდა ლ. ჟოქესთან, რომელიც დრონეთი ასრულებს საფრანგეთის პრემიერ-მინისტრისა და საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობებს და უკმაყოფილება გამოთქვა, რომ საფრანგეთის ტელევიზიის ზოგიერთი გადაცემა ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების საომარი მოქმედების შესახებ „ანტიამერიკული ხასიათისაა“.

პარიზში გადაწყვიტეს არ გამოექვეყნებინათ ამერიკის პროტესტი, რომელსაც ბევრმა მეთვალყურემ უწოდა უადგილო, უხამსი და საფრანგეთის ღირსების შეურაცხმყოფელი აქტი. ლი ჟოქმა და ბოლენმა მოიელაპარაკეს, რომ არ გამოექვეყნებინათ ელჩის საჩივარი.

მაგრამ მეორე დღესვე ამერიკის მხარემ არა თუ ფართოდ გაავცნო პრესას საუბრის შინაარსი, არამედ ისიც კი განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პროტესტი, რომელიც პირველი როდია ამ ბოლო ხანებში, — ჟოქსს წერილი სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა ბოლენის მიერ ელჩისათვის გადაცემული წერილი, არ შეიძლება არ შეგაფასოთ როგორც ახალი საფეხური „დიპლომატიური ესკალაციისა“, რომელსაც ეშინახტონი ეს ბოლო ხანებია ახორციელებს პარიზის წინააღმდეგ.

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

ᲤᲝᲠᲢ-ᲚᲐᲛᲘ, 12 აგვისტო. (საკდესი). ჩადის რესპუბლიკა აღნიშნავს დამოუკიდებლობის მეექვსე წლისთავს. ზეიმი მომდინარეობს ჩადის სახელმწიფოს ერთობის განმტკიცების, ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ლოზუნგებით.

გუშინ დღესასწაულის გამო ეროვნულ კრებაში სიტყვა წარმოთქვა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ფრანსუა ტომბალბაიმ, რომელმაც განაცხადა, რომ მიღებულია ჩადის რესპუბლიკის ეკონომიური და სოციალური განვითარების 1966-1970 წლების პირველი ხუთწლიანი გეგმა.

ᲨᲐᲕᲘ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 13 აგვისტო. (საკდესი). „შავი პარასკევი“ უწოდეს გუშინდელ დღეს ინგლისელებმა. საბოლოო წყალთხვის შემდეგ დედოფლის ბრძანებულებით ლორდთა პალატაში დაამტკიცეს მთავრობის კანონშროეკტი ფასებისა და შემოსავლის საკითხებზე. კანონის ძალა მიიღო ომისშემდგომი დროის უველაზე მკაცრმა კანონმა, რომელიც ითვალისწინებს ხელფასის ყოველგვარი მომატების აკრძალვას ნახევარი წლის განმავლობაში, და „მკაცრ შეზღუდვებს“ მომდევნო ნახევარი წლისათვის. ამ კანონმდებლობის დამრღვევნი, ე. ი. პროფკავშირული მოღვაწენი, რომლებიც შეეცდებიან დაიცვან მუშათა უფლებები, დაჯარიმდებიან 500 გირვანქა სტერლინგით ან დაიპატიმრებენ. ანტიმუშური კანონის მიღებით დამთავრდა პარლამენტის საზაფხულო სესია. პარლამენტი დაითხოვეს ოქტომბრის შუა რიცხვებამდე.

ᲞᲐᲗᲔᲚᲘ ᲢᲐᲨᲘᲡ ᲣᲙᲠᲐᲕᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲘ

...როცა რუსული ეროვნული ტანსაცმელით გამოწყობილმა ჭაბუკებმა პარიზის ცნობილი საკონცერტო დარბაზის „ოლიმპიის“ სცენაზე ყვავილები მიართვეს ფრანგი მარიანას კოსტიუმით გამოწყობილ ქალიშვილებს, დარბაზში მქუხარე ოვაციათ ატყდა. უდიდესი აღტაცებით მეხვდნენ შარშან პარიზში გამართული საბჭოთა მუზიკ-ოლის პროგრამის ამ მთავარ ნომერს. მიმდინარე წლის 9 აგვისტოს კი იმავე დარბაზში, რომელიც განთქმულ დიდ ბულვარებზეა იწყება ახალი საბჭოთა „ოლიმპიადა“ — მოსკოვის მუზიკ-ოლის მეორე გასტროლები.

ამჯერად დასის სპექტაკლები პარიზელთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს — პროგრამაში წარმოდგენილნი იქნებიან ბევრი საბჭოთა რესპუბლიკა. პარიზი გაეცნობა უკრაინისა და შუა აზიის ხელოვნებას, მოისმენს მუსლიმ მაგომაევის ხმას და იხილავს ქართულ ანსამბლ „რეროს“. ეს პროგრამა დაეხმარება ფრანგ მაყურებლებს უფრო ღრმად გაეცნონ საბჭოთა კავშირის ადამიანთა ყოფა-ცხოვრებას, ფოლკლორს.

იქვე, დიდ ბულვარებზე, თეატრ „ნუვოტეში“, მთელი სეზონის განმავლობაში წარმატებით იდგმებოდა ვ. კატაევის პიესა „მე მინდა ვნახო მიუსოვი“ („დასვენების დღე“) ეკა ფაბრის დადგმით. ეს სპექტაკლი, ისევე როგორც „იდიოტი“ დოსტოევსკის მიხედვით, რასაც თეატრ „ათენეში“ ბარსაკი დგამდა, შემდეგი სეზონისთვისაც რჩება — ეს ანუ თუ ისე ხშირად ხდება პარიზში. მარჯვნივ, ოპერის ავენიუზე, „კომედი ფრანსეზის“ შენობაა. მომავალ სეზონში აქ საბჭოთა რეჟისორი ნ. აკიმოვი დადგამს „კრეჩინსკის ქორწინებას“. ეს პირველი შემთხვევაა, თეატრი უცხოელ რეჟისორს რომ იწვევს თ



მე ვარ სამშობლოს ჩუქურთმის მჭრელი

ძნელია, ძალიან ძნელია გიორგი ლეონიძის სიკვდილზე წერა. სიტყვა ყველნი გიწყდება „კაცს, ვერ შერიგებიხარ იმ აზრს, რომ ეს ვეება მუხაც, ეს ლაღი და მობუხუნე ვაჟკაციც ასე ქცდებ. ასე მოულოდნელად · წააქცია ტიალმა სიკვდილმა. ძნელია ასე ერთბაშად გაითვალისწინო, რა დაკარგა ქართველმა ხალხმა მისი ამ ქვეყნიდან წასვლით. გიორგი ლეონიძე — ეს მშვენება და სიამაყე იყო ჩვენი კულტურისა; იშვიათად ხდება, რომ ბუნებამ ასე ერთ კაცში გააერთიანოს ყველაფერი კარგი და კეთილი, რაც ერსა აქვს, მთელი საქართველოს გულის მადლი და ეშხიანობა, ყველაფერი მზიური, ბრძნული, ლაღი და შემმართებლური, რითაც ქართველ კაცს უამაყნია ქვეყანაზე. ეს იყო მეორე ვაჟა-ფშაველა, რომელიც ხელახლა დაიბადა სოფელ პატარძეულში სამოცდაშვიდი წლის წინათ და იქნებ იმიტომაც იყო, რომ, თითქოს გულმა გული ეცნო, ვაჟამ ცამეტოთხმეტი წლის ბიჭში წინასწარ იგრძნო თავისი შემცვლელი და ლექსად უთხრა — რაკიღა შენ გხედავ

მირჩება წყლული გულისა,
ვყუჩდები ანატირები.

როგორ გინდა გამოსთქვა, გამოხატო, თუ რა იყო ქართული მწერლობისათვის, საქართველოსათვის ლეონიძე. ჩემი სიტყვა ღარიბი და უძლურია ამის გამოსახატავად. ამისათვის სიტყვის ის ჯადო უნდა გქონდეს, რომელსაც ჩვენი საყვარელი გიორგის გულში ჰქონდა ბინა, რომელიც მის ლექსში ფეთქავდა.

არ დაიდარდო, დედაო,
რაც მე სიკვდილით გაწყენე;
მე შენი ძუძუს ნათელი
საქვეყნოდ გამოვაბრწყინე.

ბრძოლის ველზე დაცემულ ვაჟკაცზე თქვა ეს გიორგი ლეონიძემ. მაგრამ ახლა თვითონ მასზე ითქმის, ამ სიტყვებით ახლა თვითონ ეთხოვება დედა-საქართველოს; დედა მაინც დარდებს და ისაღა ეშნება სანუგეშოდ, რომ მისმა შვილმა ასე შორს გაიტანა მისი ძუძუს ნათელი. მის ლექსს ლაღი ფრთა აქვს და მან უკვე დიდი ხანია შეძოიარა მთელი მსოფლიო. მას იცნობენ არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთაც. მას ჰყავს აღტაცებული თაყვანისმცემლები ვარშავასა და პრაღაში, ბუდაპეშტსა და სოფიაში, პარიზსა და რომში. და სადაც უნდა ჩასულიყო, ის იყო დიდი ელჩი თავისი ხალხისა, ფანატიკურად მოყვარული სამშობლოსი, ქართული ენისა. ის საშშობლოსადმი სიყვარულით იყო ავად, და სადაც ჩავიდოდა, ამ სიყვარულს გადასდებდა ყველას, ჩავიდოდა რუმინეთში და დიდი მწიგნობრის ანთიმოზ ივერიელის ნაკვალევს დაუწყებდა ძებნას, რუმინელებს აანოებდა საქართველოსადმი სიყვარულით, მირგოროდში — გურამიშვილის საფლავს ეძებდა, მოსკოვში — საბასას, ბალატონის ტბასთან — ქართველი საბჭოთა მეომრის — ბიძინა ბუქურაულის საფლავს, იმ ჯარისკაცისას, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის ფრონტებზე ასახელა თავისი სამშობლო:

მოგესალმები ქართულად,
კოცნა, მოკითხვა მრავალი!
მარტო მოვედი ქართლიდან,
არ მყავს სხვა თანამავალი.

მცოდნოდა, წამოგიყვანდი
მესტვირეს, მედუდუკეს!

სუფრის გამშლელი ქალები...
პირველ თბილისის ქალები...
ფერთოვლი დილავარდისა,
რიყრაყის ნაშუქალები.
მე სიყვარული დამწამდა...
მერცხლის თვალების წამწამთა...
სიცოცხლე მაშინ დამმწარდა,
თუ მათ არ მივეთვალები...
თქვენი ყაყაჩოს ტუჩები,
ბუდეშურული თვალები.

თავისებური და განუმეორებელი

ცრემლს დაგაყრიდნენ
ზუზუნით:
— ვაი შენს სიკბაუკეს!

გიორგი ლეონიძე სიცოცხლე იყო, სიხარული იყო, გაზაფხული იყო. სამოცდაშვიდი წლისა იყო და ისევ ჭაბუკის სული ჰქონდა, ის სული ჰქონდა, მის ლექსებში რომ ბორგავს და იბორგებს მუდამ. ვიდრე ასე ლაშაზი იქნება საქართველო. რა ხელი აქვს მასთან სიკვდილს, რა მოკლავს და რა მოერევა შფოთიანს და მღვიძარე გაზაფხულს, მის ლექსში აღიდებული მდინარესავით რომ აწყდება ნაპირებს. გიორგის ერთი ლექსი ასე იწყება:

იქ, სადაც შენი გულია,
სულ მუდამ გაზაფხულია.

როგორც პოეტს, როგორც მსატვარს, მას ფუნჯის გასაოცარი მონასმები აქვს — კი არ წერს, არაფად ხატავს, ქმნის, აღმოაცენებს, ყვავილები აქ ცოცხლებივით ფშვინავენ, ბალახები შრიალებენ და მარჯნისფრად ბდღვრიალა მზის სხივებიც ბღუჯა-ბღუჯა გეყრებიან სულში.

ლექსიდან უცებ წამოიფრთქიალებენ მტრედების გუნდები, თოვლივით მოედებიან მიდამოს, მთაწმინდიდან ქარს ნუშის ნაფერთალი მოაქვს, ამ სილამაზეს აუფსია ყველაფერი, ჩახჩახებს დიდი მზე და რაღაც გასაოცარი ძალით იჭრება სულში დიდებული მუსიკა, ქართლის ამ დიდი მესიტყვის სტრიქონებიდან რომ მოჩქეფს:

ბოლოსი — მუდამ მხნედ და მამაცურად იდგა თავის სახელოვან პოსტზე.

გიორგი ლეონიძე და ქართული ენა! ეს ცალკე თემაა და ძალიან დიდი თემა! ლეონიძე, ეს გასაოცარი და თავისებური, ეს განუმეორებელი პოეტი, იყო მოკრძალებული მონა-მორჩილი, ერთგული ყმა ქართული ენისა და, იმავე დროს, იყო მოსი დიდი ბატონი. ქართული ენის სტიქიაში ის ისე თავისუფლად გრძნობდა თავს, როგორც არწივი ლაჟვარდებში მის ლექსებსა და მოთხრობებში აუარებელ ნეოლოგიზმებს. წააწყდებით და ყველა ისინი შექმნილი არიან ისე, იმ კანონებს ძალით, იმ სიყვარულით, იმ მადლით, როგორც ჰქმნიდნენ ყველაზე პირველი, ყველაზე ადრინდელი ქართველები.

ამას წინათ ხელთ ჩამიყარდა ერთი გამოჩენილი ინგლისელი მწერლის წიგნი. გადავხედე კომენტარებს და წავიკითხე: „ესა და ეს სიტყვა ავტორმა მიუმატა ინგლისურ ენას“, „ეს სიტყვა ავტორის შექმნილია“, „ეს სიტყვა ამ მწერალმდე არ იყო ინგლისურ ენაში“ და ა. შ. მაგრამ ეს ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც გიორგი ლეონიძემ გააკეთა! ვინ მოსთვლის, რამდენი სიტყვა მიუმატა მან ქართულ ენას და ყოველ ამ ახლადწარმოქმნილ სიტყვას, თვითონ გიორგისებურად რომ ვთქვათ, შეშუქებული აქვს მადლი ქართული სულისა, ეს სიტყვები წიაღისეულნი არიან, ისე ამოსულნი საქართველოს მიწიდან, როგორც ჯეჯილი ამოდის, როგორც მინდვრის ყვავილები ამოდიან.

ეს იყო არა მარტო უზარმაზარი პოეტი, არამედ ამავე დროს დიდი და გამოჩენილი მკვლევარი-მეცნიერი, რომლის ერუდიციას და განსწავლულობას მუდამ განცვიფრებაში მოჰყავდა ადამიანი. მან ზუსტად იცოდა, სად რომელი ქალაღი ძევს ჩვენს უმდიდრეს სიძველეთსაცავებში. დაწყებული უზარმაზარი მანუსკრიპტებიდან — „შემოქმედის გულანიდან“, რომელიც ორი ათას რვა სქელ ქალაღდის გვერდს შეიცავს და ორ ფუთს იწონის და დამთავრებული სულ უბრალო სიგელით. რომელიც ეახტანგ მიექვსეს თუ ერეკლე მეორეს მიუცია რომელიმე მამაცი ქართველი ჯარისკაცისათვის.

ჭეშმარიტად განსაცვიფრებელი და უსაზღვრო იყო მისი ჰორიზონტი. და როგორ მარჯვედ იყენებდა იგი ამ განსწავლულობას! გიორგი ლეონიძეზე, როგორც მკვლევარზე წარმოდგენა რომ ვიქონიოთ. ერთ უბრალო ამბავს გავიხსენებ. 1955 წელს, როცა დავით გურამიშვილის იუბილესათვის ვემზადებოდით, გასაგებია, რომ ჩვენი პრესა სავსე იყო წერილებით, რომელთა ავტორები ცდილობდნენ სრულად აღედგინათ მე-18 საუკუნის დიდი პოეტის ბიოგრაფია. მაშინ გაზეთებში ატყდა კამათი იმაზე, თუ როდის, რომელ წელს წაიყვანეს პოეტი ლეკებმა ტყვედ და როდის ჩავიდა იგი მოსკოვს. ვიცოდით მხოლოდ ის, რომ დავითი ლეკებმა დაატყვევეს იმ წელს, როცა თურქებმა მოკლეს კახთ ბატონი კონსტანტინე (ერეკლე მეორის ბიძა, ძმა თეიმურაზ მეორისა). ამის შესახებ პირდაპირი მითითება არსად არ იყო და ამ თარიღის ამოცნობა შეიძლებოდა მხოლოდ წყაროების სინქრონული შეპირისპირების გზით. და აი დაიწყო ძიება. კამათში ჩაერივნენ გამოჩენილი ქართველი ფილოლოგები და ისტორიკოსები. ზოგმა ერთი თარიღი დაასახელა, ზოგმა მეორე, ზოგმა მესამე. სწორედ იმ ხანებში რედაქციაში გიორგი შემოვიდა და თავისებურად დაიბუბუნა:

— ამ კვირის ნომერში ადგილი შემინახეთ. ხვალ ჩემი შოფერი წერილს მოგიტანთ და ყველაფერი გასაგები იქნება.

და მართლაც მეორე დღეს გიორგის წერილი მივიღეთ. წავიკითხეთ და გავოცდით. სინქრონული შეპირისპირებანი, მკითხაობა და ვარაუდები საჭირო აღარ იყო. მკვლევარი უშუალო წყაროს ასახელებდა — მას თურმე ხელთ ჰქონია მე-18 საუკუნის ე. წ. „ჭარული ქრონიკა“, რომლის არსებობა არავინ იცოდა, და აი ამ ქრონიკაში პირდაპირ დასახელებული იყო, თუ რომელ წელს მოკლეს თურქებმა კახთ ბატონი კონსტანტინე, ეს კი იძლეოდა ძაფს პოეტის ბიოგრაფიის საიდუმლოებათა ამოსახსნელად. გიორგის წერილი თავდაყირა აყენებდა მთელ ჩვენს დისკუსიას. მაგრამ მაინც ყველას გაგვიხარდა ეს მიგნება, როგორც გვიხარიდა გიორგის ყველა ლექსი, ყველა სიტყვა, ყველა გამოჩენა.

წერილი ასაწყობად გავგზავნეთ. ის იყო უნდა დაბეჭდილიყო, როცა ავტორმა წყნეთიდან ახალი ბარათი გამოგზავნა. წერილი გააჩერეთ, „ჭარულ ქრონიკაში“ თარიღი მუსლიმანური წელთაღრიცხვით. ე. წ. ჰიჯრით არის ნაჩვენები, მე ის ქრისტიანულ წელთაღრიცხვაზე გადავიანგარიშე და ვაი თუ სათვალავი შემეშალა, აკაკი შანიძეს დავაზუსტებინებ და მერე დავბეჭდოთო. ახლა აკაკი შანიძემ გადახედა ამ მასალებს და გამოირკვა, რომ ლეონიძეს არაფერი არ შეშლია, ყველაფერი ზუსტად უანგარიშნია. ეს ერთი უბრალო ამბავიც მეტყველებს, როგორი ზუსტი იყო ლეონიძის ყველა სიტყვა.

ძნელია, ძალიან ძნელია შერიგება იმ აზრთან, რომ აღარ არის ეს დიდი ადამიანი, რომელსაც მთელი საქართველო სიყვარულით საალერსო სახელს — გოგლას ეძახდა. სად, რომელ სოფელსა თუ ქალაქში უნდა გამოჩენილიყო ჩვენი გიორგი, რომ ხალხი რაღაც განსაგუთრებული სიყვარულით არ შეგებებოდა. მისი დანახვა ყველას უბროდა, ყველამ კარგად იცოდა, რა დიდი საგანძური, რაოდენ დიდი სულიერი სიმდიდრე მიუმატა გიორგი ლეონიძემ მრავალსაუკუნოვან ქართულ კულტურას.

თავისი ღვაწლით მან მუდმივი სიცოცხლე დამკვიდრა. ერთ თავის ლექსში ის ამბობს:

ქართლო, ხმას შენთვის
დავრეკავ
შენი ფუძნარის ძალებით,
მე გულით გულზე დაგეკარ,
მე შენ არ დაგეცალები.

ცხარე ცრემლით დასტირის დღეს მთელი საქართველო თავის საყვარელ შვილს, თავის საამაყო პოეტს.

გიორგი ნატროშვილი.

ლექსო, სად ივლი, სანამდე?
მე აღარ შეგეკითხები...

არ დაეცემა მიწაზედ
აშლერებული სიტყვები...

მშვიდობით, საყვარელო ძმაო!

სამი უმძიმესი დარტყმა, სამი უმძიმესი შეტევა განიცადა ქართული პოეზიის მაღალმა გულმა ამ სულ ერთი წლის მანძილზე. ქართული სიტყვის სამი უთვალსაჩინოესი ოსტატი მოგვტაცა სიკვდილმა. მესამედ ჩვენი გამოჩენილი სახალხო პოეტი გიორგი ლეონიძე ემსხვერპლა ამ დარტყმას.

თუ ის ორი შეტევა, ის ორი დარტყმა ასე თუ ისე მოსალოდნელი და წარმოსადგენი იყო, ეს მესამე სულ აგერ ერთი თვის წინაც კი წარმოუდგენელი იყო. ჯერ რიგიანად გონზეც კი ვერ მოვსულვართ, ისე სწრაფად მოხდა ყველაფერი.

ძნელია იმ აზრთან შეგუება, რომ დიდ ოჯახში, ქართველი მწერლების, პოეტების ოჯახში, საქართველოს მწერალთა კავშირში და ჩვენს მეცნიერებათა აკადემიაში აღარასოდეს აღარ გახმიანდება გიორგი ლეონიძის ომახიანი სიტყვა, რომ მისი ახალი სტრიქონები აღარ დაამშვენებს ჩვენი ფურნალ-გაზეთების გვერდებს, რომ კარზე მომდგარ ჩვენს დიდ ზეიმში, ჩვენი დიდი წინაპრის შოთა რუსთაველის იუბილეს დღეებში ჩვენს შორის თავისებურად აღარ იბობოქრებს გიორგი ლეონიძის მაღალი ტემპერამენტი.

ვერ ვიტყვი, რომ თვით ვერ იგრძნო სიკვდილის მოახლოება. წუნებში რომ თავის აგარაკზე წავალთ დაფინებით მოითხოვა, აშკარა თვს შეატყო, რომ საქმე უკვე წასული იყო, რომ მისი დღეები დათვლილი იყო; თუმცა ამ ულმობელ აზრს საბოლოოდ მაინც ვერ ურიგდებოდა ჯანდაბან, თითქოს შიგადაშიგ, იმედის სხივები გაკრთებოდა ხოლმე მის გონებაში. იგრძნო, რასაკვირველია იგრძნო სიკვდილის მოახლოება და თუ ამას არ ამყდავნებდა — ეტყობა თავის თავსაც და ახლობლებსაც ატყუებდა, ცოლს, შვილებს, შვილიშვილებს, თუმცა ერთ უკანასკნელ გაბაასებაში ისიც თქვა: ვინაც კვდება, თავის თავს უკვდებიო. საწოლთან, თავთან ვაჟა-ფშაველას სურათი დაკიდებინა, მისი პირველი შთამაგონებელის, მისი პირველი დამლოცველის სურათი. ვაჟასავით ისურვა სიკვდილი ფოთლებში, ხეებში, მთებში.

თუ ახლა მან ამ თავისი სიკვდილით გაგვახსენა ვაჟა-ფშაველა, ადრე ხომ თავისი ლექსებით ცდილობდა გაეხსენებინა ჩვენთვის ქართული პოეზიის ეს ბუმბერაზი. ვაჟა-ფშაველი მისი სალოცავი ხატი იყო და მგონი ამქვეყნად არაფერი ისე არ ახარებდა. როგორც იმ ამბავის გახსენება, რომ სიყმაწვილეში მან, იმ ჩვენმა ბუმბერაზმა დალოცა და თავისი დამსკდარი ხელი დაადო მხარზე.

კი, სიკვდილის ნამდვილად ეშინოდა, სიკვდილის ლანდისაც კი. ეს ჩვენ მისმა ახლო მეგობრებმა კარგად ვიცოდით. მაგრამ უფრო მეტად ეკავრებოდა, ეზიზღებოდა იგი.

როგორც პოეტი სიკვდილის თემას, თემას, რომელსაც მსოფლიოს უდიდესი პოეტებიც კი მთელი სიცოცხლის მანძილზე არაერთხელ უწამებია, ყოველთვის გაურბოდა, გაურბოდა შეგნებულად. მისი ნამდვილი პოეტური სტიქია. სიცოცხლე იყო; სიცოცხლე მის ყოველ დიდებულ გამოვლინებაში: სიყვარული, ბუნება, სამშობლო, ლხინი, ნინოწმინდის ღამეები და თბილისის განთიადები...

სიცოცხლის თავდაწყებული სიყვარული ჩვენს პოეზიას იმთავითვე მოსდევს, მით უფრო რუსთაველის მზიური ქმნილებიდან, მაგრამ ვაჟა-ფშაველას შემდეგ სიცოცხლის აღტაცების ისეთი ძალუმი განცდა, როგორც გიორგი ლეონიძემ გადმოგვცა თავის სტრიქონებში, არც ერთ ქართველ პოეტს არა ჰქონია. აქედან იღებდა სათავეს გიორგი ლეონიძის პატრიოტული ლირიკაც, მისი პოეზიის ქვაკუთხედი.

გიორგი ლეონიძის დაუშრეტელი ენერგია პოეტურ თუ სამეცნიერო მოღვაწეობას ვერ სჯერდებოდა; ჭაბუკური შემართებით ეკვეთებოდა ხოლმე ყოველ სახალხო, საკვეთო საქმეს, რომელზეც კი ხელი მიუწვდებოდა. მრავალმხრივი იყო მისი მოღვაწეობის დიაპაზონი — საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატობიდან ვიდრე ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორობამდე. ამასთანავე თავის სამოღვაწეო ყოველ უბანს იგი განუმეორებელ კვალს აჩნევდა.

მაგრამ განა შეიძლება დღეს, ამ მწუხარების დღეებში, აღინუსხოს და შეფასდეს ყველა სიკეთე, რაც ჩვენს ქვეყნას და მართლაც განუმეორებელ გიორგი ლეონიძეს თავისი ლამაზი სიცოცხლის მანძილზე დაუთესია და შეუქმნია? დიდია, უზომოდ დიდი დანაკლისი, რომელიც ჩვენმა მწერლობამ, მთელმა ჩვენმა საბჭოთა კულტურამ განიცადა.

მშვიდობით, საყვარელო ძმაო გიორგი!

ირაკლი აბაშიძე.

გალაკტიონ ტაბიძე და გიორგი ლეონიძე საგურამოში, 1958 წ.

მთანმეინდა გულში იხუტებს

ულმობელმა სიკვდილმა ხელიდან გამოგვაცალა ქართული პოეზიის ვეფხვი გიორგი ლეონიძე. ჯერ კიდევ ვაჟა-ფშაველამ შეიცნო მისი დიდი ტალანტი...

გიორგი ლეონიძე უმღეროდა არა მარტო ჩვენი ქვეყნის წარსულის გმირებს — ვახტანგ გორგასალსა და დავით აღმაშენებელს, ჩვენს დიდ თამარსა და ერეკლე მეორეს, არამედ აგრეთვე ჩვენი ეპოქის შრომის გმირებს, იმათ, ვინც კოლხიდა ამოაშრო, სამგორის ველები მორწყა, ჩვენი კოლმეურნეებს, ჩვენი მაღაროელებს, ჩვენი ქარხნების თავმდაბალ მუშაკებს. მან კარგად იცოდა, რომ წარსულის დიდება არა კმარა, თუ აწმყო არ გაუხადეთ დროის შესაფერი.

შრომის აპოოლგიაა გიორგი ლეონიძის ბრწყინვალე პოემა „სამგორი“. ჩვენი პოეტი ხოტბას უძღვნის არა მარტო უჯარმის ციხის პატრონსა და თბილისი-ქალაქის დამაარსებელს ვახტანგ გორგასალს, არამედ იმ თავდადებულ მშრომელებსაც, რომელთა ღვაწლით უდაბური და უკაცრიელი სამგორის, აღრინდელი უჯარმის ველი ბაღნარად იქცა.

გიორგი ლეონიძე გრიგოლ ორბელიანის დარად გულგასენილი როდი უმღერის საქართველოს ტრაგიკული ისტორიის გმირებს. ლეონიძის ლექსი იმედით სავსე ხმანი ჩვენი ხალხის გულს. ჩვენს პოეტს სჯერა, რომ ის ერი, რომელმაც მოგვცა დიდი რუსთაველი, საბა ორბელიანი და დავით გურამიშვილი, გრიგოლ ორბელიანი და ნიკო ბარათაშვილი, ილია, აკაკი და ვაჟა, არ დაიღუპება. მას უმყუდვად სჯერა, რომ საქართველო იყო, არის და იქნება დიდი კულტურის ფორპოსტი ახლო აღმოსავლეთში.

ლეონიძე არა მარტო ეპიკის მწვერვალებს ფლობს, იგი ფაქიზი ლირიკოსიც არის, მის ბრწყინვალე ლექსებს მღერის ჩვენი ხალხი.

და აჰა, ჩვენს გულს ეძვერა სიკვდილის ხმალი. საქართველომ დაკარგა თავისი უბრწყინვალესი პოეტი, ხოლო ჩვენ, მისმა მეგობრებმა, ფრიად გულისხმიერი მეგობარი. ცრემლები აღარ მანებებენ ამ სტრიქონების წერას. ვეამორება შენს ბაცაცებულ შუბლს. ვაი ჩვენ, რომ ველარ განსავთ შენს საყვარელ თბილისში მსუბუქი იყოს მენთვის მთაწმინდის მიწა.

კონსტანტინე გამსახურდია.

ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲝᲡᲘ

მშვიდობით, გოგლა, მშვიდობით! — გულისტკივილით ამბობს დღეს თვითეული ჩვენგანი და ცრემლმორეული ეთხოვება უსაყვარესეს ქართველ პოეტს, დიდ მეცნიერსა და დაუღალავ საზოგადო მოღვაწეს — გიორგი ლეონიძეს.

აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა ქართულმა კულტურამ, ქართველმა ხალხმა, ქართულმა პოეზიამ.

გიორგი ლეონიძის გარდაცვალება მთელი საბჭოთა პოეზიის დანაკლისია, პოეზიისა, რომლის ერთ-ერთი ფუძემდებელი და უდიდესი წარმომადგენელი თვითონვე იყო.

როგორც ფესვმაგარი ძველი მუხა, ისე იდგა გიორგი ლეონიძე თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში. მისი ძარღვიანი, საოცრად გრძნობიერი, უშუალობით და ადამიანობით გამთბარი ლექსი დიდი ორიგინალობით გამოირჩეოდა. სილამაზე და სიკაბუკე პოეტს ამღერებულ ლექსად ჰქონდა წარმოდგენილი და მხოლოდ მას შეეძლო ეთქვა, „სიკაბუკე და ლექსი ერთია, ერთ ჩუქურთმაში გამოუვანილი“.

როგორც პოეტი, ადამიანი, მოქალაქე — გიორგი ლეონიძე მართლაც იყო ქართული „ჩუქურთმის მჭრელი“ და „ახალ ქართლის თანამედროვე“. ქართულ კოლორიტს საოცარი სინატიფით უთავსებდა ახალი სამყაროს პოეტურ განცდას, ურომლას ჰგვრიდა ჩვენი დიდი დროება და ომახიანად ამბობდა, „ლეონიძე, ამ დღეებს უდარაჯე, შენ თუ გაძლებ შენივე სიტყვის იმედით“.

ეს სიტყვა კი ძლიერი, ლამაზი, გულში ჩამწვდომი, ყოველთვის აღმაფრთოვანებელი იყო. მისი პოეტური ფერები და ორნამენტები ქართული პოეზიის ნამდვილ მშვენებას წარმოადგენდნენ. ყველაფერს, რასაც ეტრფოდა, რასაც „გულის ფესვიდან“ უმღეროდა. „გული გულთან ჰქონდა დაჯახებული“ და სამშობლოს თვითეულ ხეს, ბალახის ღეროს ჰკოცნიდა, ეხვეოდა, სიყვარულს ეფიცებოდა! ამიტომ დიდი ეროვნული რეზონანსი ჰქონდა პოეტის სიტყვებს: „სამშობლო ჩემი გულის ფეთქვაა, სამშობლო — ჩემი ლექსის სახელი“.

მაგრამ უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი ვერ ეტეოდა მარტოოდენ პოეტურ ფორმაში და გვევლინებოდა დიდი მეცნიერ-მკვლევარის ვრცელ გამოკვლევებად.

გიორგი ლეონიძე წავიდა. ამიერიდან ცოცხალი ქართული პოეტები ქართული პოეზიის ნამდვილ მშვენებას წარმოადგენენ. მაგრამ ეს ეტაპი ეთქვა, „სიკაბუკე და ლექსი ერთია, ერთ ჩუქურთმაში გამოუვანილი“.

**ეს ეტაპი ქართული პოეზიის ნამდვილ მშვენებას წარმოადგენდა.

გიორგი ლეონიძე თავისი დედულეთის — სოფელ ნინოწმინდის პიონერთა ხშირი სტუმარი იყო. ამ დღესაც (30 აპრილი, 1966 წ.) მათ შორის ხარობდა სახალხო მგოსანი.
ფოტო ს. კილაძისა.

გიორგი ლეონიძის კუბოსთან

მესამე დღეა რესპუბლიკის მშრომელები ბოლოგამზენ საქართველოს სახალხო პოეტის გიორგი ლეონიძის გარდაცვალების გამო.

13 აგვისტოს პოეტის ცხედარი წყნეთიდან საქართველოს მწერალთა კავშირში გადმოასვენეს. აქ, ამ სახლში, მრავალი წლის მანძილზე შთამბეჭდავად ყოფილა გამოჩენილი პოეტის ლექსები. ამ დარბაზში გიორგი ლეონიძე არაერთხელ გამოსულა თანამოკალმეთა, ახალგაზრდობის წინაშე, რომლისთვისაც პოეტის ცხოვრება და შემოქმედება მუდამ იყო მშობლიური ლიტერატურისა და ხალხის სასახურის მკაფიო მაგალითი.

...საქართველოს მწერალთა სახლის დიდი დარბაზი. თეთრი ქოსელი ჩამოუფარებიათ კედლებზე. ქოსელზე პოეტის პორტრეტებია. თეთრი ტიულით შემკობილ მაღალ კვარცხლბეზე დგას კუბო, რომელშიც ასვენია გიორგი ლეონიძის ცხედარი.

პოეტთან გამოსათხოვნელად მოვიდნენ მისი თაყვანისმცემელნი, ისინი, ვინც ორმოცდაათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში აღფრთოვანებული იყვნენ პოეტის უჭკნობი ლირიკული შედევრებით, პოეტური ეპოსის შესანიშნავი ნიმუშებით, მრავალსაუკუნოვანი ქართული კლასიკური ლიტერატურის ისტორიის უმნიშვნელოვანეს პრობლემათა ღრმა მეცნიერული კვლევით.

საღამოს რვა საათია. იწყება სამოქალაქო პანაშვიდი. კუბოსთან არიან გ. ლეონიძეს ნათესავები, ახლობლები, მეგობრები, მწერლები, მეცნიერები. დარბაზში ელერს სამგლოვიარო მელოდია.

კუბოს ჩაუარეს მშრომელთა წარმომადგენლებმა, თბილისის საწარმოთა მუშებმა, მოსამსახურეებმა, მეცნიერებმა, მსახიობებმა, მხატვრებმა, კომპოზიტორებმა, სტუდენტებმა, მოსწავლეებმა...

ყოველ სამ წუთში იცვლება საპატიო ყარაული. კუბოსთან საპატიო ყარაულში დგებიან გ. ლეონიძის დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისიის წევრები დ. სტურუა, ი. აბაშიძე, გ. აბაშიძე, შ. ბუხრაშვილი, კ. გამსახურდია, ო. თაქთაქიშვილი, ნ. მუსხელიშვილი, ბ. ფალეტი, ვ. სირაძე, ა. შანშიაშვილი, ს. ჭილაია, გ. ჯიბლაძე.

პოეტის წინაშე უკანასკნელი ფალის მოსახდელად ჩამოვიდნენ მოსკოვიდან მწერალი ი. ანდრონიკაშვილი და ლენინგრადიდან სსრ კავშირის მწერალთა კავშირის ლენინგრადის განყოფილების თავმჯდომარე მ. დუდინი.

ელერს სამგლოვიარო მელოდია. ულაყვეტ ნაკადად მოდიან ადამიანები საქართველოს მწერალთა კავშირის სახლისაკენ. (საქმესი).

მეგობართა სამძიმარი

თბილისი, „კომუნისტის" რედაქციას

დიდად შეგვაძრწუნა სამწუხარო ცნობამ, რომ უდროოდ გარდაიცვალა ქართული საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი ფეხმძიმეული, შესანიშნავი პოეტი და ნოვალისტი გიორგი ლეონიძე.

ამ მძიმე გლოვის დღეებში აზერბაიჯანელი მწერლები თავს დაბლა ვხრით საუკეთესო ადამიანისა და მხატვრული სიტყვის ოსტატის, ჩვენი დიდი მეგობრისა და ძმის ნათელი ხსოვნის წინაშე და გულითად თანაგრძნობას ვუთვლით განსვენებულის დამწუხრებულ ოჯახს.

აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმი.

ბაქო.

თავზარი დამცა შესანიშნავი პოეტის, ჩვენთვის მახლობელი, გულითადი მეგობრის გიორგი ლეონიძის გარდაცვალებამ. ლეონიძის შთაგონებული პოეზია კიდევ დიდხანს მოგვიბრწყინავს თავისი ემოციურობითა და ორიგინალობით. მოკლე პერიოდში ქართულმა ლიტერატურამ დიდი დანაკლისი განიცადა. ჩვენ-ნენ ჩვენგან მოძმე ხალხის გამოჩენილი შემოქმედნი — ქიაჩელი, გრიშაშვილი, ჩიქოვანი, ახლა ლეონიძე. ჩვენ ვემზადებოდით აღგვნიშნა მისი დაბადების 70 წლისთავი. მაგრამ ბედმა ისე ინება, რომ მე თავი უნდა დავხარო ჩემი მეგობრის ცხედრის წინაშე და ღრმა სამძიმარი გამოვუცხადო პოეტის ოჯახსა და ქართველ მწერლებს.

სტეფანე ზორიანი.
ქ. ერევანი.

ღრმად დამასევდიანა ქართველი ხალხის მწუხარებამ გიორგი ლეონიძის დაკარგვის გამო. ამ გლოვის დღეებში მიიღეთ ჩემი სიყვარული და თანაგრძნობა, ძვირფასო ძმებო! ღრმად მწამს, რომ წასულ ოსტატთა ადგილს ქართულ ლიტერატურაში ახალი ღირსეული თაობა დაიკავებს.

ოლეს გონჩარი.
პოლტავა.

ძნელია დაიჯერო, რომ აღარ არის ძვირფასი გიორგი ლეონიძე, საქართველოს დიდი შვილი, მისი სახელოვანი მგოსანი, დიდი საბჭოთა პოეტი, ჩვენი საყვარელი მეგობარი. მისი ნათელი სახე სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში.

პეტრუს ბროვკა.
ქ. მინსკი.

მწვავე ტკივილით გამოეხმაურა ჩემი გული ცნობას საქართველოს სახალხო პოეტის გიორგი ლეონიძის გარდაცვალების შესახებ. ძვირფას ქართველ ხალხთან ერთად ღრმად განვიცდი გამოჩენილი შემოქმედისა და დიდი მამულიშვილის დაკარგვას. სიცოცხლის დამამკვიდრებელი შემოქმედება პოეტისა, მისი მაღალი ნიჭი, უსაზღვრო გულკეთილობა ძვირფასია ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხისათვის.

მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა!

იან სუდრაბკალნი,
ქ. რიგა.

ეს არის შეგიტყვე, რომ ქართველ პოეტთა ოჯახმა დაკარგა თავისი მშვენება და ვარამაყე, ჩვენი დაუვიწყარი მეგობარი და ამხანაგი. გიორგი ლეონიძეს მსოფლიო სახელი ჰქონდა. თავისი შემოქმედებით, თავისი პოეტური ტალანტით ამ უმშვენიერესი სულის ადამიანმა შორს გააჯირითა, კეთილი ნების ყოველი ადამიანისათვის ახლობელი და მისაწვდომი გახადა შოთა რუსთაველის სამშობლოს ლექსი.

პირადად მე დიდად დავალებული ვარ მისგან. არასოდეს არ დამავიწყდება მისი მეგობრული შეხვედრა, ყურადღება და მხრუნველობა. საქართველოში ჩემი მოგზაურობისას.

ღრმად დამწუხრებული დაბლა ვხრი თავს მშვენიერი საქართველოს დიდებული შვილის ცხედრის წინაშე.

ონდრა ლისაგორსკი.
ჩეხოსლოვაკიელი პოეტი.
ახალი გაგრა.

საბჭოთა მფრინავების ტრიუმფი

ტუშინოს ცაზე მოტორების გუგუნი მიწყნარდა. ამოიწურა მსოფლიოს ჩემპიონატი უმაღლეს პილოტაჟში.

ორიოდე დღის წინათ ჩვენმა ნაკრებმა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ვ. ოვსიანანკინი, ვ. მარტემიანოვი, ვ. პისკუნოვი, ვ. პოჩინინი და ა. პიმენოვი, მოიპოვეს მთავარი ჯილდო — პ. ნესტერეფის სახელობის პრიზი. ამას მოპყვა საბჭოთა მფრინავი ქალის ბალინა კორჩუგანოვას ბრწყინვალე გამარჯვება. იგი მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი გახდა.

სპორტული ქრონიკა

◆ **სანტა-მონიკას** საერთაშორისო საქალაქო ტურნირის დამთავრებამდე ორი ტური დარჩა. როგორც ვიუწყებოდით, წინ არიან ბ. ხასაკი და რ. ფიშერი, რომლებსაც ათ-ათი ქულა აქვთ. გუშინ ტურნირის მონაწილეები ისვენებდნენ. დღეს გაიმართება ოქანასკნელისწინა ტური.

◆ **ჩვენი** ქვეყნის მეცხრე პირველობა წყალქვეშა სპორტში გაიმართა ლიტვის ერთ-ერთ ტბაზე. ვაფთა შორის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა კი